

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს ვაკანსიას მარკეტინგის სპეციალისტის თანამდებობაზე;

პოზიცია: მარკეტინგის სპეციალისტი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა: 3 თვე

სამუშაოს აღწერა:

- მარკეტინგული სტრატეგიის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნა და იმპლემენტაცია;
- სამაუწყებლო პროდუქტისა და ბრენდის კონცეფციაზე მუშაობა;
- მარკეტინგული კვლევების ორგანიზება და ჩატარება;
- სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ჩატარებული ანალიზის მიხედვით ანგარიშის მომზადება;
- მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვა და მართვა;
- ჩატარებული მარკეტინგული კამპანიის ეფექტურობის კომპლექსური ანალიზი;
- ახალი პროდუქტების ვიზუალური და კონცეპტუალური მხარეების შემუშავება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- აუცილებელია უმაღლესი განათლება მარკეტინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობის ან სოციალური მეცნიერების მიმართულებით;
- აუცილებელია ინგლისური და რუსული ენის კარგად ცოდნა;
- სასურველია მედია მენეჯმენტისა და პროდიუსინგის ცოდნა;
- მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის ცოდნა;
- სასურველია ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების ცოდნა.

სამუშაო გამოცდილება:

- აუცილებელია მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება მარკეტინგის, ბრენდინგის ან მარკეტინგული კვლევების მიმართულებით;
- სასურველია სატელევიზიო ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილება.

ზოგადი უნარ-ჩვევები:

- სხვადასხვა პროფილის მქონე გუნდების მართვის უნარი;
- ხარისხის მართვის უნარი;
- ინფორმაციის ანალიზის უნარი;
- პრიორიტეტული სამუშაოების განსაზღვრის უნარი;
- ინფორმაციის შეფასების უნარი;
- დროის მართვის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- გადამწყვეტილებების მიღების უნარი;
- მოლაპარაკებების წარმოების უნარი;
- სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;
- შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების უნარი;

შერჩევის ეტაპები:

- 1) აპლიკაციების გადარჩევა;
- 2) გასაუბრება.

ვაკანსიით დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა შემდეგ ბმულზე:
<http://1tv.ge/projects/hiring/>

აპლიკაციების მიღების საბოლოო ვადაა 2016 წლის 13 მაისი